

01 მაისი 2023 წელი

N047-ა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს და მაუწყებლის მენეჯმენტს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს (შემდეგში „ორგანიზაცია“) საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს (ბალანსი), აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს და ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების შესახებ ანგარიშს, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

აღნიშნული საბიუჯეტო ფინანსური ანგარიში „ორგანიზაციის“ მიერ მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“) მიხედვით.

ფინანსური აუდიტი მოიცავს ბალანსს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს.

შესწავლილი საკითხებიდან ყურადღებას იმსახურებს:

- 2022 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადო რისკების აუდიტი;
- 2022 წელს განხორციელებული შესყიდვების შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან;
- 2022 წლის განმავლობაში ხელშეკრულებების, გრანტების, მემორანდუმებისა და მათ შორის სხვა გარიგებების (გაცვლითი ოპერაცია/ბარტერი, იჯარა) საფუძველზე განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა მარეგულირებელ კანონმდებლობასთან;
- მაუწყებლის თანამშრომლებთან არსებული შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების (ბრძანება, ხელშეკრულება, შეთანხმება) შესაბამისობა:
 - ❖ მოქმედ კანონმდებლობასთან;
 - ❖ მაუწყებლის დებულებასთან;
 - ❖ სამსახურების დებულებებთან;
 - ❖ შრომით კონტრაქტებში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობებისა და ფაქტიურად განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა;

შემოწმების შედეგები, რომლებიც ასახულია ჩვენს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოიცავს ზემოხსენებულ საკითხებზე მთელ რიგ შეუსაბამობებს. თუმცა ეს შეუსაბამობები გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაბამისად ამ საკითხებთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება პირობითი არ არის.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად და უტყუარად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს, ინგლისური აბრევიატურით - IPSAS) მოთხოვნათა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის („ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ). ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ-ს, აგრეთვე საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკურ და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებაზე

საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, რომელიც თან ახლავს საბიუჯეტო ფინანსურ ანგარიშგებას და ასევე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციის“ მიხედვით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, და დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 04 თებერვლის №24 ბრძანებით, პასუხისმგებელია „ორგანიზაციის“ ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი საბიუჯეტო ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩინეთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადექვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვეველობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვექვემ დააყენოს ორგანიზაციის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვეველობა არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ორგანიზაციის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის კობა ბერაძე.

კობა ბერაძე (რეგ. № SARAS-A-240325)
შპს „კომპაუდი“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)
01 მაისი 2023 წელი

